თუმცა, რადიკალურ-რეპრესიული მოდერნიზმის კრიტიკას უფრო ხშირად თავისი უარყოფის ობიექტი განსაზღვრავდა. მან ამგვარად წარმოქმნა აზროვნების მოდერნიზმისათვის სახასიათო ბინარული მოდელი, სადაც ზოგჯერ ბინარული ოპოზიციები მხოლოდ ადგილებს ანაცვლებდნენ. როცა მოდერნიზმი რაციონალურ აბსტრაქციას, უნივერსალურ ჰორიზონტებსა და მთლიანის ტოტალურობას იცავდა, მისი კრიტიკა რაციონალურობამდელი გამოცდილების, არსეულის კონკრეტულობისა და კერძო უნიკალურობის აქტუალიზაციას შეუდგა. აქედან მოდის ამ კრიტიკის ორაზროვანი დამოკიდებულებები არა მხოლოდ მოდერნიზმთან, არამედ დასავლურ პოსტმოდერნიზმთანაც, რომელიც პირველ რიგში ბინარული აზროვნების სქემატურობასა და პოტენციურ ტოტალურობას უარყოფდა და ჩანაცვლებდა მას უფრო რთული და არამყარი სტრუქტურებით. შედეგად, თუ საბჭოთა თანამედროვეობას მისი რეპრესიულ-რადიკალური ხასიათის გამო მოდერნიზირებულ არქაიკას უწოდებენ, მისი კრიტიკა, რომელიც საბჭოთა საზოგადოების წიაღში იშვა, მაშინვე იღებდა თანამედროვეობის არქაიზაციის ფორმებს.

საბჭოთა თანამედროვეობის კრიტიკის ეს ნიშნები ძალიან ახლოს იდგა “დაჩქარებული მოდერნიზაციის” სხვა რეგიონების, მაგ. ჩინეთის, ინდოეთისა, თუ ლათინური ამერიკის მახასიათებლებთან, რასაც “კრიტიკულ რეგიონალიზმად” მოიხსენიებენ. როგორც ამერიკელი ფილოსოფოსი ფრედერიკ ჯეიმისონი წერდა, მსგავსი კრიტიკა “ცდილობს გამოეყოს მოდერნიზმის მიმართ პოსტმოდერნისტული უარყოფების მთელ სერიას, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს “კრიტიკულ რეგიონალიზმს”, როგორც ერთრიგულად ანტიმოდერნული და ანტიპოსტმოდერნისტული, როგორც “უარყოფის უარყოფა”<sup>2</sup> საბჭოთა საქართველოს შემთხვევაში, რომელიც საბჭოთა თანამედროვეობის პროექტის ეპიცენტრთან ნაწილობრივ დაშორებული იყო და შეეძლო, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დასასრულის



Gallery - 1992, installation, military textile and frames, Arnolfini Gallery, Bristol, UK

დროს, - განესაზღვრა ის როგორც რაღაც გარედან თავსმოხვეული, ეს “უარყოფის უარყოფა” ფაქტიურად ორმაგდებოდა, - თუ საბჭოთა გამოცდილება რეგიონალური იყო დასავლეთის მიმართებაში, ქართული — რეგიონალური იყო საბჭოთა სივრცის მიმართებაში.

და ბოლოს, უკვე გლობალიზაციისას მეორე სამყაროს საბოლოო გაქრობის კონტექსტში ამ გაორმაგებულ “უარყოფის უარყოფას” პარადოქსალურ შედეგებამდის მიყვავართ. ამჯერად უკვე გლობალიზაციის ეპიცენტრთან მიმართებაში პერიფერიულობის სიტუაციაში აღმოჩენილი პოსტსაბჭოთა ცნობიერების მატარებლები თავიანთ მდგომარეობას განიცდიან როგორც რაღაც არამართლზომიერს. რადგან მათ მიერ მიღწეული ზიარებულობა თანამედროვეობასთან აახლოებს მათ ჩვენი დროის კულტურულ ლოგიკასთან, ანუ

ჰიპერთანამედროვეობასთან, არანაკლებად იმათზე, ვინც უკვე მიითვისა უფლება ყოფილიყო ამ კულტურული ლოგიკის მატარებელი. თუმცა, ამავე დროს, ჰიპერთანამედროვეობაში ჩართულობა რეგიონალური ემანსიპაციისა და საბჭოთა წარსულის უარყოფის გზით მიდის, - შესაბამისად უარყოფს თანამედროვეობას როგორც ასეთს, რამდენადაც “ბოლო საბჭოთა თაობას” სხვა თანამედროვეობა, გარდა საბჭოთასი, არც ჰქონია.

ამგვარია წინააღმდეგობათა კომპლექსი, რომელსაც შეეჯახა “ბოლო საბჭოთა თაობა” და რომელმაც საბოლოო და ერთიანი საკითხის გადაჭრა ვერ შეძლო. კოკა რამიშვილი თავის ხელოვნებაში ამ ამოცანას საკუთარი გზით ამოხსნის.

ის, რაც აერთიანებს კოკა რამიშვილის ნამუშევრების დიდ ნაწილს, როგორც ადრეულს, ისე, გვიანდელს, - ეს მათი კონტრაპუნქტის პრინციპზე კონსტრუირებაა. ბინარული მოდელი, რომელსაც თანამედროვეობის პროექტი გულისხმობდა და თითქმის უკულმა ხორციელდებოდა მის რეგიონალურ კრიტიკაში, მის ნამუშევრებში დაფარულადაა წარმოდგენილი, ანუ ისე, რომ

ოპოზიციის არცერთი მხარე არ გადაფარავს მეორეს. ისინი ერთმანეთის გვერდით არსებობენ.

უკვე მისი ადრეული ნამუშევრები -«Perforated Cinema» და «Gallery» - არსებითად მოდერნისტული მხატვრული პრაქტიკიდან პოსტმოდერნისტულზე გადასვლის ინსცენირებაა. თუ კლასიკურმა მოდერნიზმმა რეალიზაცია ჰპოვა აბსტრაქტული ფერწერის მეტაფიზიკაში, აქტუალური პოსტმოდერნიზმი საკუთარ თავს პოულობს მულტიმედია ინსტალაციის ეფემერულობაში. თუმცა, რამიშვილთან ამ ნამუშევრებში ამ ორი მედიის პარადოქსალური შეხვედრაა, როცა აბსტრაქტული ტილო იქმნება მულტიმედია ეფექტით, ინსტალაცია კი ფერწერული ტილოების მეშვეობით. ამ საშუალებათაგან თითოეული მსხვერპლად სწირავს თავს მეორის შესანარჩუნებლად. ფერწერა თითქოს ინადგურებს თავს, როცა გადაიქცევა ინსტალაციად, ხოლო ინსტალაცია ინარჩუნებს ფერწერული ექსპოზიციის სახეს. ამ საშუალებათაგან თითოეული მათგანი აძლიერებს მეორის ეფექტს. ვიდეო ბოქსი ქმნის შავი კვადრატის სანახაობას თეთრ ფონზე, სადაც ამ მოდერნისტული მოტივის ლეგენდარული სტატუსი *par excellence* ხვდება ვიდეო ინსტალაციის ვიზუალურ სანახაობრიობას. ამგვარად, რამიშვილი ამ ნამუშევრებში ხსნის რეგიონალური კრიტიკის შინაგან ლოგიკას, რომელიც დისტანციიდან აღიქვამდა მოდერნისტულსა და პოსტმოდერნისტულ პარადიგმას.

მხატვრის შემდეგ შემოქმედებაში იხსნება მოდერნიზმისა და მისი რეგიონალური კრიტიკის შინაგანი ლოგიკა. ამგვარად, რამიშვილის ვიდეო ნამუშევრების მთელი რიგი იგება განწყენებულ, წმინდა გეომეტრიულ ანიმაციასთან დოკუმენტური მასალის შეჯახებით. ამგვარადაა წარმოდგენილი ქუჩის მკვლელობის დრამატული სცენა «Landerror» -ში, რომელიც ვიზუალურად იყოფა აბსტრაქტული სიბრტყეების თამაშით. “Signal” —ში ფერადი სწორკუთხა ფორმები “გადაირბენენ” ადამიანის მორბენალ ფიგურაზე, ხოლო “Equilibre” —ში ოთხი პატარა რეპრიზა, რომლებშიც პერსონაჟი თვითონ ავტორია, ერთმანეთს ენაცვლება მოკლე, ფორმალისტური ანიმაციური ჩანართებით. რეალობის დოკუმენტაციიდან აღებული

განწყენებული ფორმალური ეგზერსისების ამ კონტრაპუნქტს მიჰყვებიან მხატვრის ბოლო პერიოდის ნამუშევრებიც, მაგ. “Tender Transitory Transport”. ამგვარად, მოდერნიზმი მისი ლტოლვით რაციონალისტური და უნივერსალური აბსტრაქციებისაკენ ეჯახება არსებობის კონკრეტულობას, რომელსაც ამგვარად იცავდა ანტიმოდერნისტული კრიტიკა.

და ისევ, როგორც მხატვრის ადრეულ ნამუშევრებში, ბინარული ოპოზიციები კვლავ არ გადაფარავენ ერთმანეთს, არამედ, ინარჩუნებენ თავის იდენტურობას და აძლიერებენ ერთმანეთს. აბსტრაქტულისა და სარწმუნოდ რეალურის ეს ურთიერთშეჯახება, როგორც

Equilibre (Henry, Jardji and me...) – 2005, B & W video, 2’30 mn,  
music - Jarji Balanchivadze





Equilibre ( Corridor ) – 2005, colour video, 3'15 mn, music - Nika Machaidze

მათი ურთიერთგამსჭვალვა გათამაშებულია რამიშვილის მიერ “Equilibre”, —ის ერთ-ერთ რეპრიზაში, სადაც ის თავად სხეულებრივ შეხებაშია ჰენრი მურის აბსტრაქტულ მოდერნისტულ სკულპტურასთან.

ამგვარად, ბინარული ოპოზიციების წარდგენისას, რომლებიც თანამედროვე კულტურული ცნობიერების საფუძველშია, მხატვარი არ აიგივებს თავს არცერთ მათგანთან. ამგვარი პრაქტიკის უკან არსებითად ეპისტემოლოგიური კრიზისის აღიარებაა, ანუ სამყაროს აღწერის სისტემების არაეფექტურობა, მისი დაშლა ელემენტებად, რომელნიც ერთ მთლიან სურათს ვერ ქმნიან.

და, უდაოდ, «Pronostic Eventuel» და “ომი ჩემი ფანჯრიდან” შინაგანისა და გარეგანის დიალექტიკაზე იგება, სადაც პირველ მათგანში შიდა სივრცე წარდგება გარე სივრცესთან, მეორეში კი, პირიქით — გარე სივრცე იშლება შიდა სივრციდან. ამ ნამუშევრებში სოციალური წესრიგი იყოფა ღიად და დახურულად, პრივატულად და საზოგადოებრივად, ისტორიად და ყოველდღიურობად.

“კასპარ ჰაუზერის ისტორიაში” სამყაროს სურათი სტრუქტურულად საწინააღმდეგო პოლუსებად იყოფა — ზედა და ქვედა, მარჯვენა და მარცხენა, ანფასი და კეფა. “შეცვლა”-

ში მამრობითისა და მდედრობითის კონფლიქტი პროვოცირებას უკეთებს თითქმის ნიცშეანურ მეტაფორიკას: ძალაუფლებისა და ისტორიისაკენ მიმართული მასკულიზური ნება უპირისპირდება ფემინურ ფესვგადგმულობას “მუსიკის სულში”. “ხატვის გაკვეთილში” რეალობა სარწმუნოსა და ფიქტიურზე იყოფა, როცა თითოეული ამ ოპოზიციათაგანი ცვლის თავის სტატუსს საწინააღმდეგოზე იმის მიხედვით, გამოსახულების კონტექსტში ის შინაგანია, თუ გარეგანი. და ბოლოს, «Equilibrium» -ში თვით სუბიექტიც ორეულებად არის დაშლილი, ანუ თვითონ ნამუშევრის ავტორი გადაუჭრელ წინააღმდეგობაშია საკუთარ თავთან.

სამყაროს რეპრეზენტაციის ეს ტიპი, როცა ის წარმოდგენილია ოპოზიციების შეწყვილების ნიშნით კონფლიქტის გადაჭრის გარეშე, განსაზღვრული იყო როგორც ალეგორია ვალტერ ბენიამინის მიერ მის ცნობილ წიგნში “გერმანული ბაროკალური დრამის წარმოშობა”. ის, თუ როგორ აღწერს ეს გერმანელი მოაზროვნე ბაროკოს ეპოქას, უკიდურესად ჰგავს “ბოლო საბჭოთა თაობის” აქტუალურ გამოცდილებას: “სადაც შუა საუკუნეებს სცენაზე გამოჰყავს ამქვეყნიური საქმეების უსარგებლობა და ყოველი არსების ამოება, როგორც შუალედური მდგომარეობისა ხსნის გზაზე, გერმანული ბაროკოს დრამა მთლიანად დანთქმულია მიწიერი ყოფიერების უნუგეშობაში”.<sup>3</sup> შედეგად, ბინარული ოპოზიციების გზაჯვარედინზე ყოფნისას, როცა არცერთ მათგანთან არ ხდება გაიგივება, ალეგორია ხორცს ასხამს “იმის არარსებობას, რასაც გამოხატავს”.<sup>4</sup>

რამიშვილის ნამუშევრებში სხვადასხვა ფორმებში ვლინდება ამ “მიწიერი ყოფიერების უნუგეშობაში” დაბადებული სიკვდილის გამოცდილება, როგორც არსებობის სუბსტანციონალური საფუძვლის გამძაფრებული განცდა.

Equilibre -2005, colour video, 4'20 mn



ხშირად სამყაროს წმინდა ალეგორიული სურათი ამ მხატვართან რეალობას მკვდარ გარსად ავლენს. უკვე ადრეულ ნამუშევარში —«**Gallery**», ხელოვნების რეალობა წარმოდგენილია, როგორც ჩარჩოდან ჩამოხსნილი ტილო, მსგავსი ცხოველის ახლადგაცლილი ტყავისა. აქედანვე რამიშვილის მიდრეკილება ჩართოს თავის ნამუშევრებში მისაკუთრებული მასალა, - ადვილად საცნობი კინოქრონიკა, ფერწერული ციტატები და კინოფრაგმენტები, მაგ.: «**After Picasso**», «**After Tarkovsky**» და «**შეცვლა**». ამიტომ კანონზომიერია, როცა “ხატვის გაკვეთილსა” და «**Good Morning**»-სა, თუ სხვა ნამუშევრებში ის მიმართავს ანიმაციის განზრახულ პირობითობას.

ამის გარდა, მაშინაც კი, როცა რეალობა რამიშვილთან ჭეშმარიტ ფაქტად ჩნდება, ის


After Picasso - 2005, colour video, 3'10 mn



Pronostic Eventuel - 1997, colour video, 12 mn

ბაროკალური თამაშის ნაწილად რჩება, რომელიც რეალობას წარმოადგენს, როგორც სარწმუნოს პირობითად ქცევის უწვევს ჯაჭვს. ამგვარად, ადრეულ ნამუშევრებში — «**Perforated Cinema**» და «**Pronostic Eventuel**» - რეალური ობიექტის დოკუმენტაცია პროეცირებას აკეთებს ერთგვარ რეალურ ობიექტზე, რის შედეგადაც გამოსახულების ორივე ელემენტი ერთმანეთის დეზაფორმებას ახდენენ თავიანთ პრეტენზიაში რეალობის მიმართ. ანალოგიურად, “ხატვის გაკვეთილში” თეთრ ზედაპირზე ნახატის აგების კადრები, სადაც სარწმუნო ეფექტი ქალღმერთზე ხატვის სახასიათო ხმით მიიღწევა, ჩართულია საცხოვრებლების ინტერიერებისა და ქუჩის ექსტერიერების დოკუმენტური კადრების ხედებში. შედეგად გამოსახულების ორივე პლანი პირობითი ხდება. “შეცვლაში” კინოქრონიკის ფრაგმენტი შენელებულია, გადაკეთებული და კადრიებული იმდენად, რომ კინოფრაგმენტის დოკუმენტური ხასიათი ქრება, რათა თანდათანობით შეიცვალოს ფრაგმენტით ფასბინდერის ფილმიდან, ანუ წმინდად მხატვრული ვიდეო მიმდევრობით და არა დოკუმენტურით.

დოკუმენტური გამოსახულების კვდომის იგივე ეფექტი **Landerror** —ში წარმოიშობა შოკური რეალური სცენის შეტაკებით გეომეტრიულ ანიმაციასთან. ამგვარად



After Picasso - 2005, colour video, 3'10 mn

ცხადდება, რომ ქრონიკის კადრები აქ არა რელობის რეპრეზენტაციისთვისაა, არამედ რეპრეზენტაციის ერთ-ერთი შესაძლო ენის რეპრეზენტაციისათვის.

ანალოგიური, თუმცა ცოტა განსხვავებულად გადაწყვეტილი რეპრეზენტაციის თვითრეპრეზენტაციად გადაქცევა შემოთავაზებულია რამიშვილის მიერ **“კასპარ ჰაუზერის ისტორიაში”**. არსებული ნამუშევარი წარმოადგენს ნაივური ცნობიერების გამოცდილების ამსახველ ფერწერულ ციკლს, რომელიც სამყაროსთან პირველად დისკურსიულ კონტაქტშია. თუმცა, ამ შემთხვევაში რეალურ ნაწარმოებს, ფერწერულ ნამუშევრებსა და მათ რეალურ ავტორს შორის ლიტერატურული პერსონაჟია, — სათაურში მოხსენიებული “წმინდა უბრალოება”- კასპარ ჰაუზერი. შედეგად, მთელი ნამუშევარი სამყაროსთან პირველადი კონტაქტის მხოლოდ ინსცენირებაა, ანუ სცენოგრაფიულ პირობითობას წარმოადგენს. და ბოლოს, კოკა რამიშვილის შემოქმედებაში არის ნამუშევრების კორპუსი, რომელშიც



Tender Transitory Transport – 2008, colour video, 10'00mn

აპელაცია რეალობისადმი წარდგენილია თვით ავტორის მხრიდან და არა პერსონაჟი-შუამავლის მიერ. უფრო მეტიც, ეს ნამუშევრები შექმნილია არა არსებული დოკუმენტური მასალის მიზიდვის საფუძველზე, არამედ საავტორო ფოტო და ვიდეო კადრებით. ამგვარად, “ომი ჩემი ფანჯრიდან” წარმოადგენს ფოტოების სერიას, რომელშიც რამიშვილი პედანტურად აფიქსირებდა ქალაქის პანორამას 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს თბილისში. ეს ნამუშევრები შექმნილია განყენებული მარეგისტრირებული ფიქსაციით, რომელიც რეფლექსიურსა და მანუსკრიპტულ საწყისს აქრობს. ასევე განყენებულად “მომწყვდეულია” რეალობის შემთხვევითი ფრაგმენტები ვიდეო ნამუშევრებში **“Tender Transitory Transport”** და **«12 დღე»**. მაკავშირებელი ნარატივის ეს არარსებობა და რეპრეზენტაციის ობიექტის მიმართ გამოკვეთილი ავტორისეული ემოცია კვლავ წარმოშობენ მხატვრის სხვა ნამუშევრებისათვის სახასიათო ეფექტს, — გამოსახულების მეშვეობით აიხსნება თვითონ მხატვრული საშუალება. ფოტო წყების საშუალებით, რომელიც იქმნება თანაბარი დროითი შუალედებით (წყვეტით)

წარდგება თვით ფოტოგრაფიის მედია, როგორც მედია-ვიდეო წარდგება თანმიმდევრობით, მაგრამ სავსებით თავისუფლად განხორციელებულ ვიდეო გადაღებაში.

რამიშვილის მიერ გამოთქმული სამყაროს საბოლოო შეუძლებლობის, ანუ ეპისტემოლოგიური კრიზისის კიდევ ერთი სიმპტომი და შედეგია რეალობის შორიდან, თანამონაწილეობის გარეშე დაფიქსირებული ხედვა. სინამდვილეში კი “მინიერი ყოფიერების უნუგეშობა” არა მხოლოდ იმით წარმოიშობა, რომ მაყურებლის ალქმაში სამყარო მკვდარ ფიქციად გადაიქცევა, არამედ იმითაც, რომ თვით მაყურებელი მასთან ემოციურ კავშირს ვერ ამყარებს. არარსებობა გამოსჭვივის არა მხოლოდ რეალობის გარსიდან, არამედ თვით სუბიექტსაც აზიანებს, რომელიც მისგან გაუცხოებულ სამყაროს სანახაობას თანამონაწილეობის გარეშე შესცქერის. “ბოლო საბჭოთა თაობის “ წარმომადგენელს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა გვერდიდან ადევნოს თვალყურის სანახაობას, სადაც რეალობა საბოლოო აზრსაა მოკლებული.

12 days – 1999, colour video, 10 mn



ისტორიის წინაშე დრამატული უძღურების ზუსტად ეს გამოცდილება წარმოადგენს თემას რამიშვილის ნამუშევარში - “ომი ჩემი ფანჯრიდან”, სადაც ავტორი დარაბებს ხურავს ნაციონალური დრამის სდროს, ასევე “შეცვლაშიც”, სადაც სახელმწიფო გადატრიალების ქრონიკა პლასტიკური მასების პულსირების სანახაობად იქცევა. ეს რეალობა, რომელიც ცნობიერების კონტროლიდანაა გამოსული და უფორმოების მდგომარეობაშია, — დაუნაწევრებელი ადამიანური მასის ერთგვარი ენერგიაა, რომელიც ისტორიის არაცნობიერ შემქნელად გვევლინება. კონტროლიდან გამოსული არაცნობიერის ეს რეალობა იმყოფება ურყევ უფორმოებაში და დელიოზს თუ დავესებებით “შედგომის” მდგომარეობაში, - ცნება, რომლის ფორმულირება ამ ფრანგმა ფილოსოფოსმა იმავე მასალაზე მოახდინა, როგორც ბენიამინიმ ალეგორიის თავისებური გაგება ბაროკოს კულტურის მასალაზე.<sup>5</sup> “შედგომა” (შედგა) — “შეცვლის” დრამატურგიული საფუძველია, სადაც ჩვენს თვალწინ მომწესხავი “მამაკაცური ბალებით” ხორციელდება სახელმწიფო გადატრიალების სცენა მაშინ, როცა ნამუშევარში - “ომი ჩემი ფანჯრიდან” კადრების “შედგომით” აღინუსხება თბილისის სამოქალაქო ომის თანბარი ეტაპები.

თუმცა, “შედგომა” — ეს მისი ადრეული ნამუშევრის - “სიგნალის” არსიკაა: ვიდეო ეკრანზე ჩვენ ვხედავთ ადამიანის ფიგურას, რომელიც მაყურებლისკენ არის მიმართული გამოზომილ და უწყვეტი სირბილის მდგომარეობაში. ასე თანმიმდევრობით ვითარდება ჩვენს თვალწინ “კასპარ ჰაუზერის ისტორიის” სამყაროს ზედაპირის ვიზუალური ათვისება და ასევე თანმიმდევრობით ჩვენს თვალწინ იბადებიან და ქრებიან გარფიკული ნამუშევრები “ხატვის გაკვეთილში”. თანმიმდევრობით ამოიწურება რელობა “Tender Transitory Transport” —სა და “12 დღე-ში”.

ის, რაც ამ კოლიზიების “შედგომა”/“დადგომა” განსაზღვრის საშუალებას იძლევა, არის ის, რომ მათში თხრობა კულმინაციისა და დასრულების მომენტების აქცენტირების გარეშე ვითარდება. უფრო მეტიც, მოქმედება რამიშვილთან ყველაზე ხშირად იგება მისი დაუსრულებლობის პრინციპზე: მიზნამდე ვერასდროს მიიღბენს მორბენალი “სიგნალში”, არასდროს მთავრდება წვიმა “დილა მშვიდობისაში”, როგორც პოტენციურად დასასრულამდე ვერასდროს ვერ შედგება კასპარ ჰაუზერის ფერწერა და ა.შ.. მოზომილობა, შენელებულობა, მოქმედებაში მოყვანა, დაუნდობლობა — მოქმედების გახსნის ყველა ეს თვისება რამიშვილთან საერთო ეფექტთან — სასპენსთან მიდის, ანუ გამოსავლის შეუძლებლობის განგაშით სავსე მოლოდინთან.

ზომიერება, შენელებულობა, მოქმედება — არსებითად ეს ყველაფერი გამოსახულების რიტმული ორგანიზაციის თვისებებია. და რამდენადაც რამიშვილის ნამუშევართა უმეტესობას ახასიათებს ასეთი საერთო რიტმი, იმდენად არაჩვეულებრივი სიმდიდრით მოახდინა მან თითოეულში ნიუანსების რეალიზაცია: ნამუშევრის - “ომი ჩემი ფანჯრიდან” მშრალი, დაჩეხილი რიტმიდან “12 დღის” რთულ და დაჟინებულ რიტმამდის. თუმცა, რიტმი განსაზღვრულად მუსიკალური ტერმინია და აქედან კანონზომიერად გამომდინარეობს, რომ მუსიკა და აკუსტიკური ეფექტები უკიდურესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რამიშვილის ვიდეო ნამუშევრებში. შესაბამისად, ზოგიერთი მისი ნამუშევრის ხანგრძლივობა თანხვედრია

მასში ჟღერადი მუსიკალური პიესის ხანგრძლივობისა.

სახვით პრაქტიკაში კი რიტმმა გამოხატვა ყველაზე წმინდა ფორმით ორნამენტში ჰპოვა; და ზუსტად ეს ორნამენტული საწყისი, ანუ ნამუშევარში ერთგვარი წმინდა ფორმალური თამაშის თვითმყოფადობა, — ესეც სახასიათო მხატვრის ნამუშევართა დიდი ნაწილისათვის. ყველაზე თვალსაჩინო ფორმით ეს გამოჩნდა აბსტრაქტულ ანიმაციურ ჩადგმულ ნაწილებში, რომლებიც ორგანიზებას ახდენენ ნამუშევრებში: “სიგნალი”, «თენდერ თრანსიტორე თრანსპორტ», «ვანდეროორ» და სხვ.. თუმცა, არსით ორნამენტული, ანუ ფორმალურად თვითმყოფადი პლასტიური რიტმიკა მის ბევრ სხვა ნამუშევარშიცაა. ტილოების ჩვენებაც კი “კასპარ ჰაუზერის ისტორიიდან” ერთ ხაზის გასწვრივ გამოფენის ტრადიციას აქცევს ზურგს და სხვადასხვა დონეებზე განლაგებული ინსტალაციის ფორმას იღებს.

ორნამენტის ძირითადი თვისება — მის მიერ გამოყენებული რეალური მოტივების აზრობრივი მნიშვნელობების ნიველირებაა, განყენებულ თვითმყოფად რიტმიკაში მათი გაღწევაა. რამიშვილის შემთხვევაში მუსიკალური რიტმი ეპისტემოლოგიური კატასტროფით, მის მოტივებში მყარი აზრების დაკარგვით შობილი კომპენსაციის ფორმაა. თუ თხრობას არ შეუძლია მოქმედების ორგანიზება, მაშინ ამ ფუნქციის შესრულებას რიტმი იწყებს. სიტუაციაში, როცა მოტივების თანმიმდევრობა ორგანიზებულია არა მკაცრად გაშლილი წინასწარ მოცემული მნიშვნელობებით, არამედ წმინდა ფორმალური თამაშით, ნამუშევრის ყოველი მოტივი ივსება პოტენციური მნიშვნელობების უჩვეულო სიუხვით, ანუ იქცევა ღია მეტაფორად. და, რამიშვილის ნამუშევრების ნამდვილად ამაღლებელი ზემოქმედება ნაწილობრივ მათ მრავალმნიშვნელოვან იდუმალებას უკავშირდება, მათ უნარს მუდმივად განახლებადი ინტერპრეტაციული ძალისხმევა გამოიწვიოს. ნამუშევრის გაგება სწორედ თანამოქმედებისას, წარმოსახვის ნებასთან ერთად სდება.

სასპენსის ეს განცდა, დაძაბული მოლოდინი მუდმივი “შედგომის” სანახაობისა, რომელიც კონტროლს აღარ ექვემდებარება, კომპენსირდება იმით, რომ თვითონ ეს სანახაობა ესთეტიურად სრულყოფილია. ის საშიშია თავისი გაუცხოებითა და მიღმა მყოფობით, მაგრამ გნუსხავს მუსიკალური რიტმითა და აზრების სიმდიდრით. კატასტროფული, ადამიანურ მასშტაბებს გადაცდენილი მოვლენის მხატვრულ განცდას აქვს თავისი განსაზღვრა, — ეს ამაღლებულის განცდაა.

ამგვარია კოკა რამიშვილის საბოლოო პასუხი წინააღმდეგობების კომპლექსზე, რომელსაც “ბოლო საბჭოთა თაობა” შეეჯახა, — მხატვარი აღიარებს ამ წინააღმდეგობათა გადაუჭრელობას. გადაუჭრელთან უშედეგო ქმედების ნაცვლად ეძებს პოზიტიურობას “გადაუჭრელში”. “მინიერი ყოფიერების უნუგეშობაში” ის ცდილობს თავის უპირატესობებს მიაგნოს. თანამედროვეობის აპოლოგიის კონტრაპუნქტის მორგებისა, ან მისი უარყოფის ნაცვლად უფრო მართებული იქნება იმაზე გაჩერება, თუ როგორ იხსნება სამყარო, როცა ის სწორხაზოვან სქემებში აღარაა შებოჭილი. ამის გაკეთება უფრო მართებულია, რადგან იმის აღიარების სურვილის არქონამ, რომ ჩვენს მტანჯველ წინაარმდეგობებს არ აქვთ ახსნა,

წარმოქმნა პოსტსაბჭოთა პერიოდის დრამების უდიდესი ნაწილი და დანაშაულებები.

რასაკვირველია, იცხოვრო “მინიერი ყოფიერების უნუგეშობის” სტოიციტური მიღებით, ადვილი არ არის. აქედანაა შფოთისა და მელანქოლიის ის ინტონაციები, რომლებიც რამიშვილის ყველა ნამუშევარშია. თუმცა, სწორედ ეს გამოცდილება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას დავინახოთ სამყარო მისი პოეზიისა და აზრის ამოუწურავ არაერთმნიშვნელოვნებაში. მსაგავს გამოცდილებას ისტორიაში ხშირად არ შევხვდებით და სასურველია შეგვეძლოს და მოვასწროთ მისი გამოყენება.

ჩელიე მესაპიკა  
აპრილი 2009

1. ეს ფენომენი სრულად არის აღწერილი:  
Yurchak, Alexei, “Everything Was Forever, Until It Was No More:  
The Last Soviet Generation”, Princeton University Press, 2005
2. See: Jemison, Frederic. The Seeds Time. N.Y: Columbia University Press, 1994, p.190
3. Benjamin, Walter. The Origni of German Tragic Drama. M. Agraf, 2002, p. 69
4. იქვე, გვ. 248-249
5. Deleuze, Gilles. Leibnitz and Baroque, M. Logos, 1998

თარგმნა ხათუნა ხაბულიანმა



## ქრონიკა, მონტაჟი, ნახატი...

### ინტერვიუ კოკა რამიშვილთან

— **დოკუმენტიდან გამოსახულებამდე** - შენი არტის ძირითადი კონცეფტია? რა შეგიძლია ამ დინამიკაზე თქვა — როგორია გზა **დოკუმენტიდან გამოსახულებამდე**?

რაც შეეხება ამ განსაზღვრას — **დოკუმენტიდან გამოსახულებამდე**, - ეს გარკვეული პერიოდის გამაერთიანებელი ფორმაა; დიდი ხნის მანძილზე ვმუშაობდი სხვადასხვა მედიაში და ყოველთვის რთული იყო კავშირები მომეძებნა ფორმასა და შინაარსს შორის. ეს ფაქტორი მაინტერესებდა, მაგრამ კონცეფციის ნაწილს უფრო დავარქმევდი, ვიდრე ძირითად მიმართულებას. ის მოიცავს იმ ძირითად პუნქტებსა და მასალას, რომლებშიც მე ვმუშაობ. ერთი მხრივ, ეს არის ქრონიკა — დოკუმენტი და მე ვეთანხმები ვიქტორ მიზიანოს, რომელიც წერს, რომ 90-იან წლებში დოკუმენტიდან მუშაობა უფრო ადექვატური იყო მხატვრისთვის, ვიდრე მჯდარიყო სახელოსნოში და იქ ეკეთებინა კონტექსტიდან ამოვარდნილი ნამუშევრებიო. საერთოდ, ძალიან მტკივნეულად წარმოიშობოდა ამ “მგრგვინავი” (მიზიანო) 90-იანების პოსტსაბჭოთა სივრცის ხელოვნება... რაც შეეხება გამოსახულებას და მასთან მუშაობას, ის უფრო დასავლეთში ყოფნისას გახდა ჩემთვის აქტუალური. გერმანიაში სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში მუშაობისას დავინწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა გამოსახულების განვითარება.


იგივე თემაზე ფიქრი დღევანდელი საქართველოს პირობებში საკმაოდ ძნელია, რადგან გარემო უსაზღვროდ დინამიურია, - არ აქვს მნიშვნელობა პოზიტიურია, თუ ნეგატიური, ნგრევაა, თუ ახლის აშენება, სახელმწიფო გადატრიალებაა, თუ მიტინგი. ამ მკვეთრი დრამატურგიის პირობებში ვიდეო ან ფოტო კამერა ჩემთვის ყველაზე აუცილებელ ინსტრუმენტად იქცა. ეს მოცემულობა უახლოვდება რუსული ავანგარდის განვითარების დასაწყისს, როცა ის მნიშვნელოვან ფაზას გადიოდა და ახალ მედიუმებს - დოკუმენტალისტიკას, კინემატოგრაფს ეცნობოდა და მათით მანიპულირებას სწავლობდა, ანუ აფიქსირებდა რა ხდებოდა იმ პერიოდში. ქართულ რეალობაში დრო არ გრჩება, რომ გააკეთო ანალიზი, თუ როგორ შეიძლება ეს იმიჯი განვითარდეს. ამისთვის პირდაპირი მნიშვნელობით გჭირდება სხვა ქვეყანაში წასვლა, სადაც სიმშვიდეა და შეგიძლია იფიქრო იმაზე, თუ როგორ მოახდინო ამ იმიჯის ინტეგრირება სოციალურ სივრცეში. აქ ამის პირობები არ გეძლევა სწორედ ხსენებული დაძაბულობის გამო, როცა სიტუაცია სრულიად არაპროგნოზირებადია.. შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ჩარტერულია ჩემი ცხოვრებაც — დოკუმენტიდან გამოსახულებამდე და პირიქით, - როცა დავბრუნდი საქართველოში, ისევ დოკუმენტზე მუშაობას დავუბრუნდი. დამხვდა იგივე სიტუაცია, განწყობა, როცა არ შეგიძლია ჩაღრმავდე. ამას წინათ ნინო ჩუბინიშვილს ვესუბრებოდი და მან ძალიან ზუსტად თქვა, რომ ჩვენს სივრცეში ღრმა

პლასტიკით ნამუშევრის გაკეთება არ გამოდის. იმდენად ქაოტურია სიტუაცია, ანალიზს ვერ აკეთებ და გრჩება დოკუმენტი - ანარეკლი, - შეხება იმასთან, რაც ხელთ გაქვს, ანუ გრჩება კამერა და რა თქმა უნდა, მონტაჟი..., რომ მონტაჟის პროცესში მაინც ჩაღრმავდე. მონტაჟს აქვს თავისი მკაცრი საზღვრები, რაც გაიძულებს კონცენტრირება გააკეთო.. რაც შეეხება გამოსახულებას, იგივე ფერწერას და ნახატს, გულწრფელად რომ ვთქვა, საქართველოში ძალიან მიძნელდება ამის გაკეთება. ვერ ვმუშაობ.. რომ ვიმუშაო ტრადიციული ხერხებით, ანუ როგორიც იყო ფერწერა ფოტომდე, ან კინემატოგრაფამდე, ტელევიზიამდე, ან თუნდაც გოოგლე-მდე, დღეს უკვე არაპროდუქტიულია.. თუ მუშაობ ფერწერაში, რომელიც უკვე გულისხმობს ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფის გამოცდილებებს, ამისთვის გჭირდება წყნარი ფონი, სადაც შეიძლება დაჯდომა და ამაზე ფიქრი, ჩაღრმავება და ნელ-ნელა იქიდან რამის გამოტანა..... ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ **დოკუმენტიდან გამოსახულებამდე** ჩემი მთავარი კონცეფციაა, ის ნაწილია, კვანძია, რომელიც ერთგვარად მეხმარება ორიენტირებისათვის. ეს სისტემა ჩემთვის შევქმენი და არა სხვისთვის, თუმცა სხვასაც დაეხმარება მიმართულების საჩვენებლად...

- **ხშირად მიმართავ ვიდეო ფორმატს, - რა შესაძლებლობებით გიზიდავს ეს მედიუმი და თვლი თუ არა, რომ დღეისათვის ვიდეო განსაკუთრებულად აქტუალური ფორმაა?**

Working Document - 2006, colour video, 7'45 mn





Small Stories - 2006, black and white video, 2'00 mn

რაც შეეხება ვიდეო ფორმატს, ზემოთ ნათქვამს გავაგრძელებ, - ვიდეო ფორმატი საკმაოდ კომფორტულია სხვადასხვა ადგილას ტრანსპორტირებისთვის. ეს ფორმატი მცირე ზომისაა და თან ძალიან ტევადი, - დაახლოებით 30 გრამში შეგიძლია საკმაოდ დიდი ინფორმაცია მოათავსო. ეს არის მაგ. საშუალება იმისთვის, რომ ამ ქვეყნიდან, რომელიც ერთი შეხედვით გახსნილია, მაგრამ გახსნილობამდე ამ სიტყვის ფართო გაგებით ბევრი აკლია, რადგან სხვა ქვეყნები არის დაკეტილი ამ ურიერთობისთვის, შეგვიძლია გავუშვათ გზავნილი სხვა ქვეყანაში ციფრული ფორმატით ანუ ვიდეო ფორმატით. ერთის მხრივ, მცირე ტევადობის გამო არის ეს მედიუმი მიმზიდველი ჩემთვის, მეორეს მხრივ კი ვიდეო უკავშირდება მოძრაობას, - მე ვიდეოსთან უფრო ბევრი მაკავშირებს, ვიდრე ფოტოსთან. ვფიქრობ, რომ თანამედროვე ხელოვნება არის მოძრაობა, რადგან სტატიური გამოსახულება უკვე წარსულში დარჩა. რა თქმა უნდა, ის ახალშიც არსებობს, მაგრამ თავისი ბუნებით ძველ



მედიუმებს მიეკუთვნება... მოდერნიზმი ხომ მოძრაობიდან დაიწყო, - ეს ჩანს დიუშანის ფერწერაში, თუ კინემატოგრაფის დაბადებაში; ანუ, რაღაც დაიწყო ისეთი, სადაც მოძრაობაა. ეს ახალი მედიუმი კაცობრიობისთვის, დასაწყისში მას მაგიასაც უკავშირებდნენ და ზოგან აკრძალულიც კი იყო. ახლა კი ფართოდ გამოყენებადი მედიუმია.. ახალი და ერთგვარად მწირიც — ხელოვნურად, მაგრამ სინათლით შექმნილი გამოსახულება, რომელიც მოძრაობს...

**- მიმზიდველია ალბათ ეფემერულობის ფაქტორიც..**

კი, მე ძალიან მომწონს მისი ეფემერულობაც, ეს შეხებაა. მერე ის ქრება და შენც მიდიხარ.. ეს მისი შარმია.. ჩემთვის უფრო პოეტური ასპექტია საინტერესო. მე არ ვაკეთებ კინოს,



Explosion in the kitchen – 2005, colour video, 0'40mn

ეს გამოსახულებაა, რომელიც მოძრაობს.. აქ არის ელემენტები ჩემი ცხოვრებიდან, - კომპრესირებული თუ დეკომპრესირებული.. და ხმით წარმოდგენილი. ეს ლექსის წერას ჰგავს. მე ლექსებს ვერ ვწერ, ვერც მუსიკას, მაგრამ ვიდეო მაძლევს საშუალებას ამ ორივეს შევეხო.

ამიტომაც ვთვლი, რომ მე პოეზიას ვაკეთებ. ამიტომ ჩემი ფორმატიც ძალიან პატარაა — ერთი წუთი, ორი, ან სამი, მაქსიმუმ თორმეტი... “სტალკერის” რემიქსი გავაკეთე ჩვიდმეტწუთიანი, მაგრამ იქ თვითონ მასალაა სპეციფიური. მე ჯერ კომპრესია გავაკეთე. მერე დეკომპრესია.. მოკლედ, ჩემთვის ეს პოეზიაა...

**ინსტალაცია “ცვლილება ხატვის ორკესტრში” ერთგვარი რეზიუმეა, ჩემი აზრით, იდეისა, რომელიც “ხატვის გაკვეთილის” რამდენიმე ვერსიაშია განვითარებული.**

**შეიძლება ეს მოტივი (“ხატვის გაკვეთილის”) შენი არტის ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ღრმად გააზრებულ თემად ვიგულისხმოთ?**

რა თქმა უნდა, “ცვლილება ხატვის ორკესტრში” ნამდვილად ერთგვარი რეზიუმეა, დამუშავებული განსაკუთრებულ დროს, როცა მე დავიწყე პროექტის მომზადება ვენეციის ბიენალესათვის. ვფიქრობდი რა სახის ნამუშევარი უნდა წარმედგინა ამ გამოფენაზე. მხატვრის ბიოგრაფიაში ასეთი გამოფენა ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია. ეს ნამუშევარი ერთგვარად უპირისპირდება ვიდეო კულტურაში არსებულ სტერეოტიპს, სადაც მხოლოდ რამდენიმე ადამიანია ამოვარდნილი სახასიათო ერთფეროვნებიდან, - მაგ. უილიამ კენტრიჯი. საერთოდ კი ვიდეოს ძირითადი ფორმატი ერთგვაროვანია, ასეთივეა მისი ესთეტიური ფასეულობებიც. მე მინდოდა ვიდეოში ჩემი ორიგინალური გამოცდილების ინტეგრირება მომეხდინა, როგორც მხატვრისა, რომელიც საქართველოში (ყოფილ საბჭოთა კავშირში) ჩამოყვალბდი და ცოდნაც აქ მივიღე. არ მინდოდა დამეკარგა ეს გამოცდილება და არ აღმოვჩენილიყავი ისეთ სიტუაციაში, როცა მისი მოკვეთით ბევრგან მოხდა ორიგინალური განვითარების კასტრაცია. მე გავიარე კარგი სკოლა ხატვაში და აკადემიაში სწავლის დროსაც სულ უმაღლესი შეფასება მქონდა. შემიძლია ვთქვა, რომ ნახატს კარგად ვფლობ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოსტატობის, როგორც ხელოსნობის გამოყენებით შეიძლებოდა კომერციულად წარმატებულ მხატვრობას გავყოლოდი.. თუმცა, სხვა მხრივ კი დიდი სურვილი მქონდა მოძრავ გამოსახულებასთან მემუშავა და განსაკუთრებით მონტაჟის პროცესი მიზიდავდა.

სწორედ მონტაჟის ხარისხმა, ჩემი აზრით, განსაზღვრა “ხატვის გაკვეთილი”-ს წარმატება. მიმინვიეს რამდენიმე სახელოვნებო ინსტიტუციაში, სადაც ნამუშევრის პრეზენტაციები და ლექციები მქონდა. დარწმუნებული ვარ, რომ ინტერესი ამ შემთხვევაში ზუსტად მოძრავი გამოსახულების მონტაჟმა გამოიწვია. აქ გამოყენებულია აკადემიური ხატვა და უახლესი ტექნოლოგია - კომპრესია და დეკომპრესია, ის სოფტი, რომლის საშუალებასაც გაძლევს **final cut pro** - ანუ, ვიდეო მონტაჟის თანამედროვე პროგრამა უამრავი შესაძლებლობით. მე საქმე მქონდა სიმბოზთან — ხელით მუშაობაჰსოფტის გამოყენება. ჩემთვის მეორე ასპექტიც საინტერესო იყო — ადამიანისა და მანქანის თანამშრომლობა, ანუ მას მე უფრო ბიოტექნოლოგიური თვალსაზრისით განვიცდიდი, ვიდრე დაკავშირებულს ჰიგჰ ტეცჰ-სა, თუ პლასტიკურ და სილიკონურ სამყაროსთან.

**ვენეციის ბიენალეს მთავარ თემად წელს დანიელ ბირნბაუმმა “სამყაროთა შექმნა” (“Making Worlds”) გამოაცხადა. რამდენად აქტუალურია შენთვის ეს კონცეფტი?**

თავისთავად ეს თემა ჩემთან ახლოს არის. ჩემი პროგრამული ნამუშევრები — “ხატვის გაკვეთილი”, ან “დილა მშვიდობისა” აგებული იყო თემაზე, თუ რა არის ხატვა და რა არის



ფიქსირება- ფოტოგრაფია, - სხვადასხვა თვალსაზრისი — ანუ, რაზეც უკვე ვისაუბრეთ - დოკუმენტი-ქრონიკა და ხატვა ანუ ის, რაც ხელით კეთდება..

თავის დროზე დიდი სტიმული იყო ჟილ დელიოზის “კლინიკა და კრიტიკა”, როცა იდეის “დეკოდირებაზე”, “თარგმნაზე” დავინწყე მუშაობა. რა თქმა უნდა, ყველაფრის ვერბალიზაციას ვერ ვახერხებდი, სამუშაო რთული იყო. დელიოზი დამეხმარა თანამედროვე ენა მომეძებნა ჩემი ნამუშევრების ახსნისთვის... ფოტო ჩემთვის მკვდარია, წარსულია, რომელიც არ გაძლევს საშუალებას წინ იარო, ის თითქოს ჰიპნოზია.. მე, რა თქმა უნდა, უტირიერებას ვაკეთებ, რაც ჩვეულებრივი ამბავია მხატვრისათვის.. ფოტო გამოჩნდა როგორც სიკვდილი. ერთ-ერთი პირველი ფოტო X-ray იყო, ანუ ჩონჩხის რენტგენის ფოტო და დასხივების შედეგად ცოლ-ქმარი კიურები დაიღუპნენ. ჩემთვის ეს მეტაფორაა, რომელიც ფოტოს სიკვდილთან ანათესავებს.

ამის საპირისპიროა ნახატი, - ჩვენი წინაპრებისგან ჩვენ გვრჩება ფოტოები, ბავშვებისგან

After Picasso - 2005, colour video, 3’10 mn



კი ნახატები. ბავშვი არ იღებს ფოტოს, ის ქმნის ახალ სამყაროს, ანუ რის მოდელირებასაც აკეთებ, ის ახალი სამყაროა. ეს პირდაპირი გაგებით ხატვას არ გულისხმობს. ჩემთვის იგივე დატვირთვა აქვს მონტაჟსაც. ისიც “ხატვაა” იმ გაგებით, რომ ახალი სამყაროს მოდელირებას აკეთებ. ის, რომ ჩემს ნამუშევარში არის — **ქრონიკა - მონტაჟი — ნახატი**, ჩემი აზრით ძალიან კარგად ჯდება ახალი სამყაროს შექმნის კონცეფციაში...

**საკუთარ თავს უწოდებ მხატვარს ღრმა აღმოსავლეთიდან (deep east), ხაზგასმით აღნიშნავ, რომ ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი “საბჭოთა კავშირში” გაატარე. არის თუ არა ეს აქცენტები იქით მიმართული, რომ აუცილებლად თვლი წარსული გამოცდილების ვერბალზაციას, ამით ხომ არ აპროტესტებ იმ ფაქტს, რომ ბევრმა სიხარულით დაივიწყა უახლესი ისტორია და “გაურკვეველ ახალ თაობად” იქცა?..**

deep east - ჩემთვის ეს ლოგოა და უფრო აღმოსავლეთ ევროპას ნიშნავს.. წარსულის უაზროდ გადაგდება ჩემთვის მიუღებელია და საკმაოდ ბევრს ნიშნავს გამოცდილება. მე ბევრი მომცა იმ პერიოდმა, როცა აკადემიაში ვსწავლობდი და ამასთან ვმოძრაობდით დიდ სივრცეში, იქ ვმუშაობდით და კონტაქტებიც გვქონდა. ამას ნამდვილად ვერ გავაქრობ. რაც შეეხება წარსულის “გადაგებას”, ერთის მხრივ, ვერ გააკეთებ ახალ ნამუშევარს, თუ ძველი არ “დაივიწყე”, ანუ თუ ძველი ნამუშევარი ჯერ კიდევ აქტუალურია, ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი არ ხარ ახლისთვის. ზოგჯერ ამისთვის ივინყებ ძველს, რომ ახალი შექმნა, თუმცა ესეც არ ნიშნავს სრულ გაქრობას. წარსულის ანალიზი მუდმივად გჭირდება, რომ ის დრო გაიზარო, რომელშიც ცხოვრობ. გაუაზრებლად წარსულის დავინწყება კი ჩემთვის კასტრაციას ნიშნავს, როცა აღარ იტოვებ ძალას მომავლისათვის. ჟიმისათვის რომ უფრო ნათელი იყოს, რას ნიშნავს ჩემთვის “საბჭოთა წარსული”, რამდენიმე სიტყვას დავამატებ.. ამ არეულ დროს ხშირად მზა სტეროტიპები მუშაობს და ნაკლებად ესმით ხოლმე, თუ მხატვარს რისი თქმა უნდა. “საბჭოთა წარსული” წინააღმდეგობებით აღსავსე მრავალშრიანი სტრუქტურაა — დისიდენტობა, პარტიულობა, კომუნიზმი, რწმენა, ღალატი, ძალაუფლება, უსუსურობა და ა.შ., - ეს ყველაფერი ისე დაწნეხილია და იმდენად სწრაფ რითმში ურთიერთქმედებს, რომ 75 წლის მანძილზე ისეთი გარღვევა ხდება, რასაც სხვაგან შეიძლებოდა საუკუნეები დასჭირებოდა. ამ დრამატულსა და ამავე დროს უნიკალურ დროში ჩვენ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ ინერციით, თუმცა შესაძლოა უკვე გადავედით უფრო დრამატულ ანმყოში, რომელიც ამ წარსულიდანაა ამოზრდილი. ეს მასალა მხატვრულად მოაზროვნე ადამიანისათვის შეიძლება ძალიან ფასეული იყოს და სასურველია მის მიმართ ღირსეული და არაწინასწარგანსაზღვრული დამოკდებულება გვქონდეს, რადგან ეს ჩვენი ნაწილია, გვინდა ეს, თუ არა.

**ხშირად ახსენებ ანდრეი ტარკოვსკის, - ერთი შენი ვიდეო მთლიანად “სტალკერის” კადრებითაა აგებული. ძალიან ახლობელია შენთვის სტალკერის სტატუსი? ეს პერსონალური გამოცდილებაა, თუ ამას თაობასთან კავშირში განიცდი?**

ტარკოვსკიმ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, - **“სტალკერი”** ვნახე თბილისში **“ოფიცერთა სახლში”** და ამ პერიოდში ეს ფილმი “აკრძალული” იყო და “ოფიცერთა სახლში” მისი ჩვენებაც ერთგვარ კონტროლს გულისხმობდა. ფილმი ფილოსოფიურია და საკმაოდ რთული საყურებლად, - ძალიან განელილია და სულ მოლოდინს მოიცავს. ჩემთვის სიუჟეტიც სიანტერესო იყო და ფილმის სტრუქტურაც. ეს საბჭოთა გამოცდილება იყო და ამას ტარკოვსკის გარდა ოთარ იოსელიანიც აჩვენებდა. მე მათ მასწავლებლებად ვთვლი, რომელთაც ერთგვარი ბიძგი მომცეს, დამეხმარნენ აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში წამეკითხა საკუთარი თავი. ეს ჩემი ფუნდამენტია და ვაგრძელებ იმის კეთებას, რაც ამ სივრცეში კეთდებოდა. ინსპირაცია ჩემი ნამუშევრებისა — “დილა მშვიდობის”, სადაც წვიმაა, სწორედ ტარკოვსკიდან მოდის. მოლოდინის განწყობა დომინანტია აღმოსავლეთ ევროპისათვის... სტაგნაციაა, მაგრამ უფრო მოლოდინია..

**შეგიძლია ყველაზე მთავარი გამოცდილება განსაზღვრო, რაც ჩვენ საბჭოთა წარსულიდან დაგვრჩა?**

მე უფრო სხვა კუთხიდან შევხედავდი საკითხს, ანუ უფრო აქტუალურად მეჩვენება, თუ რა დავკარგეთ... ჩვენ დავკარგეთ აღმოსავლეთ ევროპისათვის გამაერთიანებელი სახასიათო სტილი. არ აქვს მნიშვნელობა ის ცუდი იყო, ან კარგი.. ის სტილი იყო. ამას რომ ღირებულება ჰქონდა, იმაშიც ჩანს, რომ ყველაზე ძვირადღირებული სასტუმროები იმ შენობებში იხსნება, სადაც ეს სტილი დომინირებს, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სახეს განსაზღვრავდა. ჩვენ ეს სახე დავკარგეთ.

მე როგორც შემძლო ვეცადე, რომ ეს სტილი არ დამეკარგა და მისთვის ახალი განვითარება მიმეცა.. მე შევინარჩუნე მოლოდინის თემა და უარი ვთქვი დასავლეთისათვის აქტუალურ “შოკურ” ფორმატზე.. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მე დასავლურ ფორმებს უარვყოფ, მაგრამ ეს ფორმები აღმოსავლეთ ევროპაში ტრანსფორმირდება და კიდევ ახალ ფორმებს წარმოშობს. ეს ერთგვარი რეაქციაა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წამოსულ კითხვებზე.

ეს პროცესი კულტურაში უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, დასავლეთისთვის აღმოსავლეთი ჯერჯერობით მხოლოდ ნედლეულის საბადოა. მხოლოდ სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია საქართველოს შემთხვევაში არა მგონია კარგი იყოს ქვეყნის განვითარებისათვის. ეკონომიური ბაზა არ ქმნის ტერიტორიას სახელმწიფოდ, მაგრამ კულტურა ნამდვილად აქცევს ტერიტორიას სახელმწიფოდ.

**ნამუშევარი — “Pronostic Eventuel” აგებულია კონტრასტებზე — ინტერიერი და ექსტერიერი, კრიზისში მყოფი ქვეყანა და საელჩოების კომფორტული ინტერიერები. როგორია პირველი რეალობის ეს ფრაგმენტი “ახალი საქართველოს” ისტორიაში?**



Salute – 2004, colour video, 1'00 mn

რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი ნაწილია ახალი რეალობისა და ეს ნამუშევარი კი ჩემთვის პერსონალურადაა მნიშვნელოვანი. ამ პერიოდში დაიწყო ჩემი ვიზიტები სხვადასხვა ქვეყნებში და მიწვევა საელჩოებში მისვლაც... საერთოდ, ვფიქრობ, რომ ხელოვნებამ საშუალება უნდა მოგცეს წაიკითხო ის, რაც უხილავია. ხელოვანი ხილულად აქცევს იმას, რასაც სხვები ზოგჯერ საერთოდ ვერ ამჩნევენ. არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში ამ ნამუშევრით ვაჩვენებ პოლიტიკურ-სოციალურ “ეროგენული ზონები” ახალი საქართველოს რეალობიდან.. საელჩოები დაკეტილი ობიექტებია, სადაც შესვლა მხოლოდ სურვილისამებრ არ შეიძლება. მე ყოველთვის მაინტერესებდა ის წიგნები, სადაც დოკუმენტაციაა იმ სივრცეებისა, სადაც რაღაც მნიშვნელოვანი ხდება. მაგ. ვნახე ალბომი გაერო-ს შენობის შესახებ, სადაც სხვადასხვა წარმომადგენლობათა კაბინეტების ინტერიერებია; არსებობს წიგნი კრემლის შესახებ და ა.შ.. კარგი იქნებოდა ჩვენს პარლამენტზეც გამოსულიყო წიგნი.

თანამედროვე საზოგადოება ითხოვს გამჭვირვალობას და გამჭვირვალობის პირობებში საზოგადოება უფრო ვითარდება, როგორც ერთიანი ორგანიზმი.

**შენს ნამუშევრებში ძალიან მნიშვნელოვანია ხმის ფაქტორი, - “ხატვის გაკვეთილში” ფაქტორის ქალღმერთი შეხების ხმის ჩანაწერი სხვადასხვა სიხშირით განსხვავებულ ეფექტს ქმნის. ფიქრობ, რომ ეს სხვადასხვა განზომილებებთან შეხების იდენტურია?**

ხმა მნიშვნელოვანი ასპექტია ჩემს ნამუშევრებში. ხმა და გამოსახულება ჩემთვის თანაბარუფლებიანი ორგანული შემადგენლებია. ხმას მე გამოსახულებას არ ვადებ, როგორც ეს კინოში ხდება, - უფრო ვიყენებ იმ ხმას, რომელიც თვითონ გამოსახულებას აქვს. **“ხატვის გაკვეთილში”** ხმა და გამოსახულება სრულიად იდენტურია. დიდი ხანია ვთანამშრომლობ მუსიკოს ნიკა მაჩაიძესთან და ჯარჯი ბალანჩივაძესთან. მათი ნამუშევრების წყალობით მე მომეცა საშუალება გამეკეთებინა ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩენები ვიზუალიზაციაში.

**ვენეციის ბიენალეს ფორმატს ხშირად აკრიტიკებენ, - ნაციონალური პავილიონების სისტემის გამო. მეც მკითხეს ერთ ინტერვიუში, რომ ზღუდავს თუ არა ნაციონალური პავილიონის ფარგლები მხატვარსო..**

ნაციონალური პავილიონის ფორმატი — სადაო საკითხია — ერთი მხრივ ნაციონალური პავილიონის თემა უკვე ანაქრონიზშია დღევანდელ გლობალურ სისტემაში.

ჩემი აზრით, თანამედროვე კულტურა არ არის ნაციონალური კულტურა, ეს მოქალაქეების, ადამიანების კულტურაა — თანამედროვე ადამიანები ერთიანდებიან კულტურულ და არა ნაციონალურ სივრცეში. ამის მაგალითი ძალიან ბევრია: ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და ა.შ. შეიძლება მივიღეთ უფრო რადიკალურ შედარებებთან, თუნდაც ავიღოთ ჩგოოგლე-ის კულტურა, რომელიც საერთოდ გამოირიცხავს გეოგრაფიულ ტერიტორიებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ხელოვნებაში არ უნდა იყოს ნაციონალური ელემენტები და განწყობები, მაგრამ კონსტრუირების მეთოდი არ უნდა იყოს ნაციონალური.

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ნაციონალური პავილიონი არის ძალიან რთული და საინტერესო თემა იმ შემთხვევაში თუ უყურებ მას კულტურული დისტანციიდან.

აქ ერთგვარი განმარტება იქნება აუცილებელი, - პირველ რიგში ნაციონალური აქტივობა პოსტსაბჭოთა სივრცის აქტივობაა, მეორე მხრივ, ნაციონალური სტატუსის გაგება ჯერჯერობით არაერთგვაროვანი და ბუნდოვანია დღევანდელი სამყაროს გლობალურ სისტემაში. მესამე მხრივ, ეს პასუხია დემოკრატიაზე (ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ თუ რომელიმე ნაციას დაადანაშაულებ, დემოკრატია ვეღარ იქნება. შეიძლება დაადანაშაულო პოლიტიკა, ეკონომიკა მაგრამ თანამედროვე ადამიანი ნაციას ვერ დაადანაშაულებს) და მეოთხე მხრივ კი გასარკვევია თუ არსებითად რას წარმოადგენს ნაციონალიზმი. საქართველოში, მაგალითად, ის ვლინდება მრავალხმიან სიმღერაში.. ეს არ არის ამომწურავი



პასუხი, თუმცა რაღაც ორიენტირებს მაინც იძლევა. ჩენ მულტინაციონალურ სამყაროში ვცხოვრობთ და თითოეულ ოჯახში არის სისხლის შერევის მაგალითები, აქედან გამომდინარე ჩემთვის ნაციონალური საკითხი უფრო ინტიმური და პერსონალურია.

რაც შეეხება ქართულ პავილიონს ვენეციის ბიენალეზე, საქართველოს შემთხვევაში ეს ძალიან კარგი შესაძლებლობაა და დიდი პროგრესია, როცა ამ სახის პროექტს და კერძოდ თანამედროვე ხელოვნებას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო უჭერს მხარს. რამდენიმე წლის წინ თანამედროვე ხელოვნება ოფიციალური ინსტიტუციების მხრიდან საერთოდ იგნორირებული იყო.

***“ცვლილება ხატვის ორკესტრში” — თუ შეგიძლია მისი მთავარი მესიჟი ვერბალურად განსაზღვრო...***

ამ პროექტის მთავარი მესიჟი არის, შეიქმნას განწყობის რამოდენიმე ფენა, - ერთის მხრივ პირობითი გამჭვირვალება და მეორე მხრივ კი ჩანახატი, ესკიზი იმ განწყობილებებისა, რომლებიც ჩემი აზრით დომინირებენ ამ გეო-კულტურულ სივცეში – ანუ, დღეს საქართველოში.


***ესაუბრა ხათუნა ხაბულიანი  
მარტი, 2009***





Story of Kaspar Hauser N 3 - 2003, 6 pieces aquarell, paper, 22 cm X 31 cm

Story of Kaspar Hauser N 22 - 2004, 3 pieces aquarell, paper, 17 cm X 28 cm, 42 cm X 32 cm





## Koka Ramishvili

Born - 30. 08. 1956 in Tbilisi, Georgia, ex-URSS. Lives and works in Tbilisi, Georgia and Geneva Switzerland. 1975 – 1980 Academy of the Art, (cinema, design industrial), Tbilisi, Georgia. 1990 – 1994 Studio Prof. Wolfgang Flatz, Munich. 1999 - 2007 Art coordinator in “l'Association ‘Echanges culturels entre la Suisse et la Géorgie’”, Geneva, CH. Teaching in Art Instituts: 2004 - 2008 Beaux Geneva, Beaux Perpignian, Tbilisi. 2007 – 2009 Akademie of the Art in Tbilisi.

**One man show:** 1991 - “New work...”, Hause der Kulture der Welt Berlin, Germany. 1994 - “Collection of the Bad and Wrong Words”, Kulturmanagement Hausler GmbH, Munich. 1995 - “Don't Follow yourself it's dangerous for you” - Raum Aktueller Kunst, Vienna. 2003 - Story of Kaspar Hauser, Gallery Edward Mitterand, Geneva, CH. “Drawing Lesson” - MAMCO, Museum of Modern and Contemporary Art. Geneva, CH. 2005 - “Sculptures Interdites” - Gallery Edward Mitterand, Geneva, CH. “Platforms for Events” - MAMCO, Museum of Modern and Contemporary Art. Geneva, CH. 2008 – “Other Book” - Gallery Edward Mitterand, Geneva, CH. 2009 – “Anonimus” - Hausler Contemporary, Munchen, Germany.

“Drawings” – Edward Mitterrand Gallery, Zurich, CH

**Group show:** 1990 - “Expression”, Third Eye Centre, Glasgow. “Zietbezügnlich”, with FLATZ, Kunstverein, Dillingen, Germany. 1991 - “Heat and Conduct”, Mappin Art Gallery, Sheffield. Arnolfini Gallery Bristol, UK “Rooms”, Musée National, Prague, 1993 - “Artist, Time, Space...” Contemporary Art Museum, Tsaritsino, Moscow. 1994 - 2 Biennale Art Contemporary, Cetinje, Monténégro, Ex Yugoslavia, “Europe 94”, Munich, Germany. 1996 - “Ostranenie 97”, Electronic Art Media Forum, Bauhaus, Germany. “Hybrid Factory”, (Ars Electronica), Linz, Austria. 1999 - 2000 - “Au verso de l'histoire” Centre d'Art Contemporain « La Ferme de Buisson », Marne-laVallée. Paris, France. Contemporary Art Museum in Thessaloniki, Greece. “Stockholm connection”, Attitudes, Geneva, CH. “After the wall”, Moderna Museum, Stockholm. Ludvig Museum, Budapest, Hamburger Bahnhof, Berlin. “Electronic December”,  
- Watershed, Bristol UK, 2001 Tirana Biennale, Tirana, Albania. 2002 - Photoforum PascuaArt, CentrePascuaArt, EXPO – 02, Bienne, CH. “ça raconte quoi?”, CREDAC (Centre de recherches, d'échanges et de diffusion pour l'art contemporain, Ivry-sur-Seine, Paris. “Quoi de 9/11 photographs, de Genève et de la région lémanique”, Centre de la Photographie, Geneva, 2004 - “Neo Geo” – Russian National Gallery. Moscow. Art Fair Bruxelles, Belgium. Impakt Festival for experimental video and audio, Utrecht, NL.

2005 - Biennale in Moscow – Moscow, Russia. Film festival WRO, Wroclaw, Poland. VIDEOEX, Experimental film & Video Festival Zurich Switzerland, Cinematexas International Short Film Festival, USA. Bishkek Biennale Dumbo arts Festival New York, USA, 11 Biennial of Moving images, Geneva, CH. 2006 - Art Moscow, Center of contemporary art. “Version”, Digital Biennial, Geneva, Center of Moving image. Post Soviet photographie, (panel speech and presentation) Tate Modern, London. 2007 - “Dnevnik Xydojnika” in Frame of Moscow, Biennale, Moscow. “My Backyard”, Newman -

- Popiashvili Gallery, New York. “Progressive Nostalgia”, Centro per l'arte contemporanea Luigi Pecci, Prato, Italy. 2008 - Fine Art Museum of Nantes, Nantes, France. “Private Eye” Hausler Contemporary, Munchen, Germany. 2009 – “Born in Georgia”, Cobra Museum, Amsterdam, NL. “Given Difference”, 2nd Asian Contemporary Art Fair, New York. “Change in Drawing Orchestra” Georgien Pavilion, 53 the International Venice Biennale, Italy. 53 Kurzfilm festival in Obehousen, Germany. Goethe Institut in Berlin, Germany

## Viktor Misiano

Lives and works in Moscow, Russia and Italy. From 1980 till 1990 he was a curator of contemporary art at the Pushkin National Museum of Fine Arts in Moscow. From 1992 to 1997 he was the director of the Center for Contemporary Art (CAC) in Moscow. He curated the Russian participation in the Istanbul Biennale (1992), the Venice Biennale (1995, 2003), the São Paulo Biennale (2002, 2004), and the Valencia Biennale (2001). He was on the curatorial team for the Manifesta I in Rotterdam in 1996. In 1993 he was a founder of the Moscow Art Magazine (Moscow) and has been its editor-in-chief ever since; in 2003 he was a founder of the Manifesta Journal: Journal of Contemporary Curatorship (Amsterdam-Ljubljana) and has been an editor there since that time, as well. In 2005 he curated the first Central Asia Pavilion at the Venice Biennale. In 2007 he realized the exhibition project Progressive Nostalgia: Art from the Former USSR in the Centro per l'arte contemporanea, Prato (Italy), the Benaki Museum, Athens, KUMU, Tallinn, and KIASMA, Helsinki. He has been awarded an honorary doctorate from the Helsinki University for Art and Design. He lives in Moscow (Russia) and Ceglie Messapica (Italy).

## Khatuna Khabuliani

Lives and works in Tbilisi, Georgia. She is an art critic, curator, publicist researcher. She works on her phd degree research – “Transformation of visual signs”. In 2001 she curated the Georgian part of the exhibition The Baw of Stability in St. Petersburg. From 2001-2005 Khatuna Khabuliani worked at CCCD\_Caucasian Center for Cultural Development as an editor and curator. CCCD (later MAF\_Media ART Farm) in collaboration with different organizations and studios has organized international and local exhibitions: Appendix1 and Appendix2, Neo Geo, Arteria, etc; it also founded The Institute of Photography and New Media and Khatuna Khabuliani worked as a lecturer of contemporary art history and co-organizer of the projects on contemporary photography. In 2005 she was an editor of ARTURI \_ newspaper on contemporary art, collaborated as a freelance critic with different magazines and newspapers: 24 hours, Alternative, Style, etc.. From 2006 till now she teaches in Tbilisi State Academy of Art the course of Contemporary art and exhibition project&design of exposition. In 2008 she worked as an editor of IMPRESS\_magazine of visual art and literature. In 2009 she co-founded The Center of Contemporary Art.

Texts copyright by authors  
Translation Tamara Janashia  
Editor Khatuna Khabuliani  
Design - Koka Ramishvili, Gio Sumbadze  
Printed by Cezane  
All rights reserved 2009 Koka Ramishvili



